



# FOLIA CAUCASICA

Festschrift für Jost Gippert zum 55. Geburtstag

იოსტ გიპერტის 55 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული



# FOLIA CAUCASICA

იოსტ გიპერტის დაბადებიდან 55-ე წლისთავისადმი მიძღვნილი  
საიუბილეო კრებული

რედაქტორები: მანანა თანდაშვილი, ზაქარია ფურცხვანიძე

ფრანკფურტი მაინზე  
თბილისი  
2011

# FOLIA CAUCASICA

Festschrift für Jost Gippert zum 55. Geburtstag

Herausgegeben von Manana Tandashvili & Zakaria Pourtskhvanidze

Frankfurt am Main  
Tbilissi  
2011

## სარჩევი

Folia Caucasica ეძღვნება ცნობილი გერმანელი მეცნიერის იოსტ გიპერტის დაბადების 55 წლისთავს. კრებულში შესული სტატიები ძირითადად ი. გიპერტის მიერ ქართველ და უცხოელ კოლეგებთან ერთად განხორციელებული საერთაშორისო პროექტების სამეცნიერო კვლევის შედეგებს ასახავს.

გარეკანის დიზაინი: მანანა თანდაშვილი  
Titeldesign & Fotos: Manana Tandashvili

©Manana Tandashvili, Zakaria Pourtskhvanidze  
© Programm Logos

ISBN 978-9941-401-84-8

Programm LOGOS  
TSU VIII Geb., Ilia Tschavtschavadze Prospekt 13  
0179 Tbilissi, Georgien  
E-mail institute@greekstudies-tsu.org

იოსტ გიპერტი და XXI საუკუნის კავკასიოლოგია .....	VII
Zur Person des Jubilars.....	XVII
მარინე ბერიძე	
ქართული ეთნოსოციალური სინამდვილის ენობრივი კონცეპტუალიზაცია.....	1
Winfried Boeder	
Unterordnung im Swanischen.....	35
ნინო დობორჯგინიძე	
ტექსტის კვლევის ისტორიისათვის ძველ ქართულ ფილოლოგიაში.....	61
ვახტანგ იმნაიშვილი	
„Der herzlichsten und freundlichsten Aufnahme können Sie sicher sein“.....	77
ზურაბ სარჯველაძე†	
ხანმეტობისა და ჰამეტობის გადმონაშთები ზოგ ძველქართულ წერილობით ძეგლში.....	95
სოფიო სარჯველაძე, დარეჯან თვალთვაძე	
სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმში დაცული ტვიბერის ოთხთავის ხელნაწერი.....	99
Wolfgang Schulze	
The Origins of Personal Agreement Clitics in Caucasian Albanian and Udi.....	119
Manana Tandaschwili	
Zur Negation im Udischen: I. Funktionale Distribution der Partikel <i>te</i> .....	169
Kevin Tuite	
Xevsur shrine invocations: iconicity, intertextuality and agonism.....	197
Bernard Outtier	
Le texte du Sinaï géorgien N 13 est-il le modèle du Sinaï 35? .....	223

# ტექსტის კვლევის ისტორიისათვის

## ძველ ქართულ ფილოლოგიაში

(ფსალმუნთა ინტერპრეტაციის თეორიული საკითხები

ეფრემ მცირის მეტატექსტებში)

ნინო დობორჯგინიძე, თბილისი

ძველი ქართული მთარგმნელობითი საქმიანობა X-XI საუკუნეებიდან სისტემურ სახეს იღებს – სათარგმნი ტექსტის მიმართ მთარგმნელთა სპონტანური, ინტუიციური, დამოკიდებულება<sup>1</sup> თანდათან იქცევა სტანდარტიზებულ, საგანგებოდ შემუშავებულ წესებზე დაფუძნებულ საქმიანობად. სწორედ აქედან იწყება ქართული ფილოლოგიის ისტორია, ტექსტის ინტერპრეტაციის, კვლევისა და გამართვის „Тѣхн“, რომლის თეორიული საკითხები საგანგებოდ დამუშავდა ძირითად ტექსტზე დართულ კომენტარებში (წინაბჭე, თავისა და ბოლომსა ანდერძი, სქოლიო), ანუ X-XII საუკუნეების მეტატექსტებში.

მთარგმნელობითი და, ზოგადად, ფილოლოგიური საქმიანობის კონცეპტუალიზაცია<sup>2</sup> შავი მთის ლიტერატურულ სკოლას, ყველაზე მეტად კი ეფრემ მცირის სახელს უკავშირდება. თარგმანის, ხელნაწერი ტექსტის მომზადების, კრიტიკული აპარატის, შესავლის, ანდერძის, კომენტარების დართვის, ვარიანტების აღნუსხვის, იკითხვისების შერჩევის ეფრემისეული პრინციპები<sup>3</sup> არის კრიტიკული ტექსტის დადგენის ის სისტემა, რომელიც

<sup>1</sup> პირველ მთარგმნელთა პრინციპების შესახებ იხ. ხარანაული 2005.

<sup>2</sup> ძველი ქართული ფილოლოგიის ადგილზე შუა საუკუნეების ფილოლოგიურ-ტექსტოლოგიური დისციპლინის განვითარების კონტექსტში, ქართული ტრადიციის მიმართებაზე როგორც ბერძნულ-ლათინურ, ასევე სირიულ ტრადიციასთან საგანგებოდ ვმუშაობდი საერთაშორისო სამეცნიერო პროექტის ფარგლებში, რომელიც, ზოგადად, ფილოლოგიის და სტანდარტული ენების განვითარების ისტორიას იკვლევდა. კვლევის საბოლოო შედეგები სათაურით: ქართული ენა შუა საუკუნეებში (*Die georgische Sprache im Mittelalter*) 2009 წელს დაიბეჭდა გერმანიაში შუა საუკუნეების აღმოსავლეთ-ქრისტიანული ენებისა და კულტურის კვლევათა სამეცნიერო სერიაში: *Sprachen und Kulturen des christlichen Orients* (SKCO, Bd. 17).

<sup>3</sup> ძველი ქართული მთარგმნელობითი და, ზოგადად, ფილოლოგიური საქმიანობის შესახებ დავასახელებ რამდენიმე ნაშრომს, რომლებიც განსაკუთრებით საინტერესოა საკითხის კვლევის ისტორიისათვის: ბეზარაშვილი 2004; Dობორჯგინიძე 3003: 119-140; Dობორჯგინიძე 2009ა; დობორჯგინიძე 2009ბ: 185-194; დობორჯგინიძე 2010: 194-217; თვალთვაძე 1997, თვალთვაძე 2009; კეჭალაძე, რაფაეა 1983; დ. მელიქიშვილი 1984: 106-120; დ. მელიქიშვილი 1988; დ. მელიქიშვილი 1999; დ. მელიქიშვილი 2009; ნ. მელიქიშვილი 1987: 119-129; ნ. მელიქიშვილი 1999: 149-164;



საკოვებლად ბატონობდა ფილოლოგიაში ალექსანდრიული სკოლიდან მოყოლებული კარლ ლახმანის ჩათვლით, ანუ XIX საუკუნის ახალი ფილოლოგიის დასაწყისამდე.

ძველ ქართველ ავტორებს არ დაუწერიათ ფილოლოგიის, ან ტექსტის კვლევის სახელმძღვანელო, თუმცა, ეფრემ მცირის „ფსალმუნთა თარგმანების“ შესავალი ამ თვალსაზრისით დარგის დოკუმენტირებულ ისტორიად შეიძლება ჩაითვალოს. ეს კარგად ჩანს თხზულების სათაურიდან: „უწყებაჲ მიზესსა და ვითარებასა, და თხრობაჲ წესსა და საცმარებასა წინამდებარისა ამის წიგნისასა, რომელ არს თარგმანებაჲ ფსალმუნთაჲ“<sup>4</sup> საკითხები, რომელთაც ეფრემი სათაურშივე გამოყოფს (მიზეზი, ვითარება, წესი, საცმარება) და რომელთა შესახებ ვრცლად მსჯელობს თხზულების შესავალში, ტექსტის კვლევის ანტიკური და შუა საუკუნეების ტრადიციის საკვანძო პრობლემებია.

ეფრემ მცირის მეტატექსტებზე დაყრდნობით შევეცდები ვაჩვენო ძველი ქართული ფილოლოგიური კომენტარების „გენეალოგია“, მათი სავარაუდო ბერძნულ-რომაული თუ სირიული წყაროები; დაწვრილებით განვიხილავ ზოგიერთ დეტალს, რომლებშიც ტექსტის კვლევის ძველი ქართული „ტექნიკ“ ვლინდება.

### 1. ფსალმუნთა ტექსტის კვლევა შუა საუკუნეების ფილოლოგიაში

შუა საუკუნეების ფილოლოგიურ დისციპლინას ახასიათებენ როგორც ბიბლიის ეგზეგეტიკურ კვლევას, რომელიც, თეოლოგიურის გარდა, წმინდა წერილის ფილოლოგიურ-ტექსტოლოგიურ მხარესაც სწავლობდა. ბიბლიის, როგორც ძნელად გასაგები, წინასწარმეტყველური მხატვრული ტექსტის განმარტებათა მეთოდები და სისტემა ქრისტიანულმა ეგზეგეტიკამ ანტიკურობიდან გადაიღო. მან მოხერხებულად მიუსადაგა თავის მიზნებს პერგამონისა და ალექსანდრიის სკოლების უდიდესი ტექსტოლოგიური გამოცდილება, პირველი ბერძნული ნორმატიული სახელმძღვანელო, დიონისე თრაკიელის Τέχνη γράμματος, რომელმაც არა მარტო ალექსანდრიული, არამედ ზოგადად გვიანანტიკურობისა და შუა საუკუნეების ფილოლოგიური

ოთხმეზური 1992: 105-117; ოთხმეზური 2004: 194-206; ოთხმეზური 2005; ჩიკვატია 1997; Kharanauli 2002: 181-216; ხარანაული 2005; ხოფერია 1998; ხოფერია 2001: 117-138.

<sup>4</sup> ეფრემის „ფსალმუნთა თარგმანების“ შესავალი რამდენჯერმე დაიბეჭდა. ყველაზე სრული ტექსტი გამოკვლევიყოფით იხ. შანიძე 1968: 77-122.

აზროვნების ხასიათიც განსაზღვრა. ის სხვაობა, რაც ანტიკურ და ქრისტიანულ ეგზეგეტიკას შორის არსებობდა, კარგად აისახა თრაკიელის გრამატიკის მრავალრიცხოვან სქოლიოებში. ისინი ბიბლიის პერმენეტიკურ-ფილოლოგიურ განმარტებათა სპეციალურ სისტემას ქმნიან.<sup>5</sup>

მხატვრულ-ლიტერატურული და ენობრივი ხასიათის განმარტებანი ქრისტიანული ეგზეგეტიკის მხოლოდ ერთი ნაწილია. იგი მოკლებულია საკუთრივ ფილოლოგიურ ინტერესებს და მთლიანად თეოლოგიის სამსახურში დგას. მისი მიზანია, ჩაწვდეს ავტორისეულ აზრს (δύναμις, sententia), რომელიც საგანგებოდაა დაფარული სიტყვაში. როგორც აპოლონიისგან შთაგონებული პითია ზეადამიანურს, გონებით მიუწვდომელს უხსნის ადამიანებს იგაგებისა და გამოცანების მეშვეობით, ასევე ჰომეროსი და სხვა მწერლები, აპოლონიისგანვე ინსპირირებულები (ἐκείνησθε), დაფარულად, იგაგურად გადმოგვცემენ იმას, რისი წაკითხვა შეუძლებელია, იგი უნდა ამოიცნო. ამიტომაც ჰომეროსის ეგზეგესი, მისი პოემების მხატვრულ-ლიტერატურული და განსაკუთრებით ენობრივი განმარტებანი, არის ე.წ. „სამეშუალო ხელოვნება“, გარკვეულ ნიშანთა სისტემა, რომელიც ავტორის აზრის განცხადებას ემსახურება. ამ სისტემას Τέχνη γράμματοςჱ ქჱქია. მასში საგანგებოდ ხაზგასმულია, რომ იგი არის „philologia sacra“, „grammatika sacra“. მისი საკვლევი ობიექტია არა ერთმნიშვნელოვანი, ტრივიალური და თანადროული, არამედ ძველი, ძნელად გასაგები, ზეადამიანური ძალის მიერ შთაგონებული, დაფარული აზრის მქონე ტექსტები.<sup>6</sup>

ქრისტიანულ ეგზეგეტიკას სწორედ ამ თვალსაზრისით აინტერესებდა ანტიკური ფილოლოგია, როგორც ძველ ტექსტებში დაფარული საიდუმლოს გაცხადების, განმარტების „τέχνη“, ვინაიდან მასაც მსგავსი მიზანი ჰქონდა – წმინდა წერილში ეპოვო ღვთაებრივი ჭეშმარიტება, ის, რაც ზეადამიანურია და ზეგონითი (ὑπεραφθαρτικόν, ὑπερσθητόν). მაგრამ მისი წვდომა შეუძლებელია მხოლოდ τέχνη-ს საშუალებით, ვინაიდან ის არ არის ადამიანის შემოქმედება, არც ადამიანური სიბრძნის ნაწილია და არც გრამატიკის, არც ბერძნულთა დიალექტიკის ან რიტორიკის ხელოვნებას ეკუთვნის:

<sup>5</sup> გვიანანტიკურობისა და შუა საუკუნეების პერმენეტიკული გრამატიკების, თრაკიელის გრამატიკის სქოლიოების შესახებ იხ. დობორჯგინიძე 1998: 52-80.

<sup>6</sup> ანტიკური და ქრისტიანული ტრადიციის მიმართებათა შესახებ იხ. Dörrie 1974; Neuschäfer 1987 (1, 2); Schlieben 1974; Schäublin 1992: 132-173; Schäublin 2005.

„Ὅτι ἀνθρῶπων εἶναι συγγράμματα [...] μὴ ἔν σοφία ἀνθρῶπου εἶναι, μὴ ἔν γράμμασι [...] οὐ γὰρ εἰς τὸ λέγειν δύναμας καὶ τάξις ἀπαγγελίας κατὰ τὰς Ἑλληνοῦσιν διαλεκτικὰς ἢ ῥητορικὰς τέχνας ἔν αὐτοῖς ὑπαγομένη τὸς ἀκούοντας“.<sup>7</sup>

ის ფაქტი, რომ ბიბლიას და ჩვეულებრივ ლიტერატურულ ნაწარმოებს განსხვავებული საზრისი (δύναμις, sententia) აქვთ, ქრისტიანულ ეგზეგეტიკას ერთგვარ წინააღმდეგობაში აგვადგამს:

ა) წმინდა წერილი ერთადერთია, ღმერთისაგან ინსპირირებული, ამდენად, შეუძლებელია, იგი რომელიმე სხვა ტექსტს შეუდარდეს;

ბ) ეგზეგეტიკამ მის განსამარტავად უნდა გამოიყენოს იგივე მეთოდები, რაც ჩვეულებრივი ლიტერატურული თხზულების ინტერპრეტაციისათვის არის საჭირო. ბიბლიის ეგზეგისის კანონმდებელთა აზრით, ეს წინააღმდეგობა მოჩვენებითია. საქმე ისაა, რომ წმინდა წერილის ჭეშმარიტება ბიბლიის ცალკეულ წიგნთა ავტორების საშუალებით (ე.ი. ლიტერატურული გზით) გადმოიცემა, ამდენად, იგი τέχνη γράμματι-ს მიხედვით უნდა განიმარტოს; γράμματι-ს სფეროში არავითარი წინააღმდეგობა არაა, ბიბლიურ წიგნთა ავტორები, წინასწარმეტყველები, პირველ რიგში, ლიტერატორები, მწერლები არიან; პიერონიმე დავითს ნამდვილ ლირიკოსს უწოდებს და სიმონიდესა და პინდარეს ადარებს მას: „David, Simonides noster, Pindarus et Alcaeus, Flaccus quoque, Catulus et Serenus, Christum lyra personat et in decacordo Psalterio ab inferis excitat resurgentem“.<sup>8</sup> მათ ენობრივ-სტილურ და მხატვრულ-ლიტერატურულ საშუალებას განმარტავს სწორედ Τέχνη γράμματι-ს.

ენობრივ-გამომსახველობით და შინაარსობრივ საკითხთა განმარტებების სიმრავლე არათუ ეწინააღმდეგება, პირიქით, ხელს უწყობს ბიბლიის გაგებას. ვინაიდან მასაც, როგორც ყველა ლიტერატურულ ტექსტს, რამდენიმე სიბრტყე აქვს; τέχνη γράμματι-ს ბიბლიის ლიტერატურულ-ისტორიულ მხარეს განმარტავს; ამ სიბრტყეზე ბიბლიის სიტყვას სრულიად გამოკვეთილი ამქვეყნიური ისტორია აქვს. ძველი აღთქმის სიუჟეტები რეალურად არსებული, ნამდვილად მომხდარი ფაქტებია, რომელთაც, პირველ რიგში, რეალ-ისტორიული, ძველი ქართული ტერმინოლოგიის მიხედვით, „თხრობისაებრი“ განმარტება სჭირდება; სწორედ ამის შემდეგ შეიძლება ვილაპარაკოთ მათ

<sup>7</sup> Origenes, PA, იხ. *Die griechischen christlichen Schriftsteller der ersten drei Jahrhunderte*, 2 (1899): 4, 1, 6.  
<sup>8</sup> Hieronymus, Epistula 53, იხ. *Hieronymus / Hilberg* 1996, 53, 8, 17.

„სახისმეტყველებით“, „სახე-მოღებით“, „ჭუმეუთ“ ან „აღყვანებით“ მნიშვნელობათა შესახებ.

აქედან გამომდინარე, ფსალმუნის, და საერთოდ, ძველი აღთქმის თითოეულ მუხლს ორგვარი ახსნა სჭირდება:

1. ისტორიულ-გრამატიკული, ანუ „თხრობისაებრი“, „განმარტებისაებრი“;
2. ალევორიული, ანუ „სახისმეტყველებითი“, „სახე-მოღებითი“, „ხედვისაებრი“, „აღყვანებითი“.<sup>9</sup>

ქრისტიანულმა ეგზეგეტიკამ ჯერ ლოგიკურ-გრამატიკული აზრი უნდა ნათელყოფს, უნდა განმარტოს ბიბლია, როგორც ღმერთის მიერ შთაგონებული ავტორების ლიტერატურული თხზულება; ამისათვის კი ყოველგვარი ადამიანური ცოდნა თეოლოგიის სამსახურში უნდა ჩადგეს, ვინაიდან „რწმენა ეძიებს ცოდნას“ (შდრ. *Fides querens intellectum*).<sup>10</sup>

ბიბლიის ტექსტის მრავალპლანიანობა განაპირობებს მთავარ განსხვავებას პომეროსის, ზოგადად, ლიტერატურული ტექსტის ინტერპრეტაციასა და ქრისტიანულ ეგზეგეტიკას შორის: ლიტერატურული ტექსტის განმარტებელი ტექსტში ეძიებს ავტორისეულ საზრისს (δύναμις, sententia), ეგზეგეტიკოსი კი ცდილობს წმინდა წერილში იპოვოს არა მისი ავტორის (დავითი, სოლომონი, მახარებლები), არამედ ინსპირატორი ღმერთის ჭეშმარიტება. მაგრამ ამ ჭეშმარიტების შუამავლები ბიბლიური წიგნების ავტორები არიან. ბიბლიური წიგნების ეს მრავალპლანიანობა დიდ სირთულეს ქმნის ტექსტთან მკითხველის დამოკიდებულების თვალსაზრისით. ავგუსტინე ბიბლიური ტექსტის რამდენიმე სიბრტყეს გამოყოფს:

1. ობიექტური (ინსპირატორისეული) ჭეშმარიტება;
2. ბიბლიის კონკრეტული წიგნის ავტორის სენტენცია;
3. ბიბლიის კონკრეტული წიგნის ავტორის დამოკიდებულება ობიექტურ ჭეშმარიტებასთან;
4. ეგზეგეტიკოსის მიერ ობიექტური ჭეშმარიტებისა და ბიბლიური წიგნის ავტორის სენტენციის წვდომა.

<sup>9</sup> რეალ-ისტორიული და ალევორიული განმარტებების, ასევე ეგზეგეტიკური განმარტებების ტერმინთა შესახებ ძველ ქართულ ტრადიციაში იხ. დობორჯგინიძე 1998: 52-110; Doborjginidze 1999: 91-99; დობორჯგინიძე 2000: 8-17.

<sup>10</sup> ანსელმ კენტერბერელის ამ თეზამ მთლიანად განსაზღვრა შუა საუკუნეების ჰუმანიტარულ მეცნიერებათა, როგორც თეოლოგიის მომსახურე დარგების, ფუნქცია, რწმენისა და დისციპლინარული ცოდნის მიმართების საკითხები. ამის შესახებ იხ. Jori 2005: 197-210.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით პრობლემური ტექსტი იყო ფსალმუნის, უფრო სწორად, თითოეული ფსალმუნის ავტორობის საკითხი. ბიბლიური წიგნების ისედაც მრავალპლანიან ინტერპრეტაციას ფსალმუნის შემთხვევაში კიდევ უფრო ართულებდა ამ ტექსტის სპეციფიკა: ობიექტური (ინსპირატორისეული) და კონკრეტული წიგნის ავტორის, ფსალმუნის შემთხვევაში დავითის, სენტენციას ემატებოდა ფსალმუნის წარმომთქმელი პირების, ასაფის, იდითუმისა და სხვათა სენტენციები.

ამ ტექსტულურ სირთულეს ქრისტიანულმა ეგზეგეტიკამ კარგად მიუსადაგა ანტიკურ ეგზეგეტიკაში კარგად ცნობილი „მოლაპარაკე პირის“ პერსპექტივა, ეგრეთწოდებული *πρόσωπον τὸ λέγων*, რომელმაც შესაძლებელი გახადა ქრისტოლოგიური ეგზეგეტიკის განვითარება; მისი მეთოდოლოგიური საფუძველი ორიგენემ მოამზადა: ვისი პირით, ან ვისი სახელითაც არ უნდა ლაპარაკობდეს ბიბლია, იქნება ეს წინასწარმეტყველი თუ რომელიმე პერსონაჟი, ის მხოლოდ ქრისტეს მიხედვით გაიგება, მისი რეალური მოლაპარაკე პირი არის ქრისტე.<sup>11</sup>

პროსოპოლოგიურ ეგზეგეტიკასთან ერთად ბიბლიის ფილოლოგიისთვის მნიშვნელოვანი საფუძველი მოამზადა სიტყვის შესახებ ანტიკურობის მოძღვრებამ, რომელიც არისტარქესგან იღებს სათავეს. სწორედ არისტარქემ განავითარა ყველა დროის ეგზეგეტიკის აქსიომა, რომ ამა თუ იმ მწერლის განმარტება მხოლოდ საკუთარი თავიდან გამომდინარე, მისივე ნაწერების მიხედვით არის შესაძლებელი. ამ აქსიომით, რომელიც პორფირიუსის ფორმულით არის ცნობილი – „კომეროსი კომეროსისგანვე განიმარტება“ (*Ὅμοιον ἐξ Ὁμοίου σαφενίσειν*) – სიტყვის კვლევა კონკრეტულ მწერალთან მისი გამოყენების კვლევას დაეფუძნა.

ანტიკურობიდან ნასესხები მეთოდოლოგიური საფუძველებით ბიბლიური წიგნების კანონმდებელმა, ათანასე აღექსანდრიელმა,<sup>12</sup> ბიბლიის ეგზეგეტიკის კანონებიც შეიმუშავა.<sup>13</sup> ამ კანონისაჲციის მოდელად იქცა ანტიკური

<sup>11</sup> ორიგენეს სიტყვის თეოლოგიის, მისი ქრისტიანული ეგზეგეტიკისა და განსაკუთრებით ტიპოლოგიური ინტერპრეტაციის შესახებ იხ. Götter 1963; Lubac 1998; Lubac 2000; Schaublin 2005.

<sup>12</sup> ათანასე აღექსანდრიელის არგუმენტაცია, რომელიც საფუძველად დაედო ბიბლიური წიგნების კანონისაჲციას იხ. Athanasios, Epistula 39, in: PG 26, 1435-1440.

<sup>13</sup> Stead 1992: 174-189.

ტრადიციის მიხედვით შედგენილი მისი ფსალმუნთა თარგმანების შესავალი – *‘Υποθέσεις εἰς τοὺς Ψάλμους*.<sup>14</sup>

რაც შეეხება კონკრეტულად ფსალმუნთა ფილოლოგიის სისტემატიზაციას, იგი მეხუთე საუკუნის ეგზეგეტსა და ფილოლოგს, კასიოდორეს მიეწერება. მისი ცნობილი ტექსტოლოგიურ-კრიტიკული ნაშრომი „*Expositio in psalterium*“, განსაკუთრებით „*Divisiones Psalmorum*“, ზოგადად, მის მიერ დამკვიდრებული სასწავლო-ეგზეგეტიკური მეთოდები,<sup>15</sup> მთლიანად ანტიკურია, აგებულია ანტიკური ფილოლოგიური შესავლის (*‘Υποθέσεις, Argumenta*) მიხედვით.

ანტიკური ყაიდის ამგვარი შესავალი პირველად ლათინურენოვან სამყაროში პირონიმემ შემოიტანა. თავის ცნობილ თხზულებაში „*Hebraicae quaestiones in libro Geneseos*“<sup>16</sup> იგი საგანგებოდ მიუთითებს, რომ ძველი თხზულებების, განსაკუთრებით ტერენციუსის კომედიებზე დართული შესავალი, მისთვის არის ნიმუში, როგორი აპარატით უნდა გაიმართოს ტექსტი. ელიუს დონატუსის<sup>17</sup> მიერ ტერენციუსის კომედიებზე დართულ შესავალში (*Praefatio*) მოკლედ არის მოთხრობილი ტექსტის მთავარი პრობლემის, როლების განაწილების, კომედიის სტრუქტურის, პროლოგის მთქმელისა და კომედიის „ნამდვილი მოლაპარაკის“ (ავტორისეული ხაზი) შესახებ. დონატუსის ეს მოდელი არის პირდაპირი წყარო ფსალმუნის შესავლებისთვისაც (*‘Υποθέσεις, Praefatio*); მათში საუბარია ფსალმუნთა ზედაწერილის, პერსონაჟების, ადგილის, დროის, ფსალმუნის ნამდვილი ავტორისა და წარმომთქმელი პირის (*prosopon*) შესახებ. კასიოდორე საგანგებოდ ჩერდება ფსალმუნთა ავტორობის საკითხზე და ხსნის, როდის ლაპარაკობს დავითი „თავისაგან თვისა“ (შდრ. *ex sua Persona*) და როდის – „სხუათაგან“<sup>18</sup> (შდრ. *ex alia*).

<sup>14</sup> ფსალმუნთა განმარტების შესავლისა და, ზოგადად, ეგზეგეტიკური თხზულებების შესავლის ტიპოლოგიის შესახებ იხ. Kolbert 2006: 85-101; Stead 1992: 174-189; Schlieben 1974; Schaublin 2005.

<sup>15</sup> კასიოდორეს ფილოლოგიური მეთოდების, განსაკუთრებით ანტიკური ტრადიციის რეკეფციის შესახებ იხ. Astell 1999: 37-73; Schlieben 1974; Schlieben 1979; Jones 1945: 433-442; Englisch 1994.

<sup>16</sup> Lagarde 1967/1868.

<sup>17</sup> დონატუსის მიერ დამკვიდრებული ტრადიციის შესახებ იხ. Waldrop 1927: 75-142.

<sup>18</sup> ტერენციუსის ვიმოწმებ XIII საუკუნეში უცნობი ქართველი ავტორის მიერ შედგენილი „ფსალმუნთა გამოკრებული თარგმანებიდან“. იხ. დობორჯგინიძე 1996; დობორჯგინიძე 1998: 81-85; 121-135.



ფსალმუნის ეგზეგეტიკა ორი ტიპის შესავლებს იცნობს:

ა. ალექსანდრიული ტრადიციის უპრემიუს, Praefatio, რომელიც უფრო მორალურ-ეთიკურ და დიდაქტიკურ მიზნებს ემსახურება; მასში ძირითადი ყურადღება ეთმობა ბიბლიის მნიშვნელობას ქრისტიანობის შემეცნებისთვის, ტექსტის ზემოქმედების ძალას (δύναμις), ტექსტის სარგებლიანობას, ძველი ქართული ტერმინოლოგიის მიხედვით, სავმარებას (χρησιμὸν), დოგმატურ და თეოლოგიურ პრობლემატიკას და ა.შ.

ბ. ანტიოქიური ტრადიციის რეალ-ისტორიული ხასიათის შესავალი (ὑπόμνημα ὑμῶν);<sup>19</sup> ალექსანდრიულის მსგავსად, ანტიოქიური ტრადიციის შესავალიც ანტიკურობიდან იღებს სათავეს; მასში ძირითადად განხილულია კონკრეტულ ტექსტთან უშუალოდ დაკავშირებული საკითხები: თხზულების მოკლე შინაარსი, მისი ავტორი და ისტორიული კონტექსტი, რომელშიც ნაწარმოები შეიქმნა, ნაწარმოების შექმნის დრო, ადგილი და ა. შ. ამგვარი მიმოხილვა ზოგჯერ აღინიშნება საერთო სათაურით: σκιαπὲς. ალექსანდრიულსგან განსხვავებით, ანტიოქიურ უპრემიუს -ს აინტერესებს არა ტექსტის მორალურ-ეთიკური საკითხები, არამედ ის კონკრეტული ისტორიული რეალობა, რომელშიც ესა თუ ის ფსალმუნი, ან რომელიმე ბიბლიური წიგნის ფაბულა, ამბავი აღმოცენდა. მისი მიზანია, წარმოადგინოს წმინდა წერილის თითოეული წიგნი, ნაწილი, მუხლი, როგორც დასტური, საბუთი (testimonium) ერთი რომელიმე რეალურ-ისტორიული სიტუაციის, ერთი პიროვნების (ბიბლიური პერსონაჟი, ბიბლიური წიგნის ავტორი) შესახებ.

შუა საუკუნეების ქართულ ეგზეგეტიკურ ტრადიციაში ორივე ტიპის შესავალი („წინაბჭე“, „წინათქუმა“, „თავისა და ბოლომსა ანდერძი“) დასტურდება.<sup>20</sup> ქვემოთ განვიხილავ ალექსანდრიული შესავლის ტიპურ ნიმუშს, ეფრემ მცირის „ფსალმუნთა თავმანების“ შესავალს, რომელიც უაღრესად საინტერესო თეორიული ხასიათის ფილოსოფიური ნაშრომია.

როგორც ზემოთ ვახსენე, ეფრემი სათაურშივე გამოყოფს ალექსანდრიული ფილოსოფიის ძირითად საკვლევ საკითხებს:

- ა. მიზეზი,
- ბ. ვითარება,
- ც. წესი,
- დ. სავმარება წინამდებარისა ამის წიგნისა.

ეფრემის შესავლის ტექსტში იოლად ამოსაცნობია ტექსტის ისტორიის კვლევის სხვა საკითხებიც, რაც ალექსანდრიული ფილოსოფიის ქვეკუთხედს წარმოადგენს და ამონიოსისა და კასიოდორეს მიერ კონცეპტუალიზებულ სისტემად ითვლება: წიგნის შექმნის მიზეზი, ფსალმუნის შესახებ კომენტარების წიგნთა სახეები, წიგნის ინსპირატორი, მონაცემები სათარგმანებელი ტექსტის შესახებ; კომენტართა შერჩევის პრინციპები და მონაცემები განმმარტებლების შესახებ, რომლებიც ეფრემმა გამოიყენა, ან რომელთაც გარკვეული მოსახრებით „პრიდა და აღურ-ასხნა“; კანონიკურ განმმარტებელთა სიტყვის ძალი და შეცდენილთა განმარტებების „რეცა წინააღმდეგომად საგონებელი საეჭუელი სიტყვის ძალი; კომენტარის სახეები და ტიპოლოგია; „თხრობისაებრი“ (რეალ-ისტორიული) და „სახის-მეტყუელებით“ განმარტების „ძალი“; ტექსტის ავთენტურობა, ფორმის, სტრუქტურის ავთენტურობა; ცნობილი თეოლოგიური ლექსიკონი; ფსალმუნთა განწესება და დაყოფა; ვისი პირით ლაპარაკობს მეფსალმუნე: „πρόσωπον τὸ λέγειν“ და ვის მიემართება თითოეული ფსალმუნი; ფსალმუნის თარგმნასა და უძველესი ორიგინალის მოპოვნებაში დამხმარენი, გადამწერნი, გადაწერის ადგილი და დრო.

საკითხები, რომელთა შესახებაც ეფრემი ასე დაწვრილებით მსჯელობს შესავალში, თანხედება ამონიოსის მიერ შემუშავებულ მოდელს, საკითხებს, რომელთა შესახებაც ფილოსოფოსები საუბრობენ შესავალში: ταῦτα δὲ ἐπεισθησαν οἱ φιλόσοφοι πρὸς λέγειν. ესენია:

1. ὁ σκιαπὲς,
2. τὸ χρησιμὸν,
3. τὸ γνήσιον,
4. ἡ τῆς τῆς ἀναγωγῆς,
5. ἡ αἰτία τῆς ἐπιγραφῆς,
6. ἡ εἰς τὰ κεράλαια διαίρεσις καὶ
7. ὑπὸ ποῖον μέρθς ἀνάγεται τὸ παρὸν σύγγραμμα.<sup>21</sup>

ბერძნულ-ლათინური, სირიული ან სომხური შესავლები, რომლებიც საგანგებოდაა შესწავლილი და გამოცემული, ამ მასშტაბის (როგორც

<sup>19</sup> ანტიოქიური ტრადიციის ეგზეგეტიკური შესავლის შესახებ იხ. Bultmann 1984; Bultmann 2002.  
<sup>20</sup> ალექსანდრიული ტიპის შესავლის კლასიკური ნიმუშია ეფრემ მცირის „ფსალმუნთა თარგმანების“ შესავალი, ანტიოქიურისა – „ფილოსოფონ ისტორიის“ შესავალი.

<sup>21</sup> ამონიოსის ეს სისტემა დაწვრილებითაა მიმოხილული ე. რიადის მონოგრაფიაში. იხ. Riad 1988: 43-45, 58-64.



შინაარსით, ასევე ზომით) არ არის.<sup>22</sup> ამდენად, ეფრემის შესავალი, ტექსტის ისტორიის კვლევის ძველი ქართული კომპენდიუმი, არა მარტო ქართული, არამედ ზოგადად შუა საუკუნეების ფილოლოგიის დოკუმენტირებული ისტორიაა.

ქვემოთ მოკლედ მიმოვიხილავ იმ ტრადიციას, რომელიც ასე ხილრმისეულად დაამუშავა ეფრემმა და რომელსაც, როგორც ირკვევა, თავის კონტექსტში ანალოგი ნაკლებად ეძებნება.

ტექსტზე ვრცელი შესავლის დართვის ფილოლოგიური ტრადიცია, რომელსაც ეფრემი ეყრდნობა, ფუნქციური თვალსაზრისით ყველაზე ახლოს არის სირიელ მთარგმნელთა მეტატექსტებთან. პოლიტიკური სიტუაციის მეტისმეტი გამწვავების მიუხედავად, VII საუკუნის პირველი მეოთხედი სირიელ სწავლულთათვის იყო თარგმანის აყვავების პერიოდი. სწორედ ამ დროს შეიმუშავეს მათ თარგმანის ის მეთოდი, რომელიც მიმართული იყო ბერძნულის უმცირესი ნიუანსის ზედმიწევნითი სიზუსტით გადმოცემაზე.<sup>23</sup>

პაეღე ედესელმა ბერძნულთან მაქსიმალურად დაახლოების მიზნით ხელახლა გადაამუშავა გრიგოლ ნაზიანზელის ძველი სირიული თარგმანი და მას შედარებით ვრცელი შესავალი დაურთო. თომა პარკელმა იმავე მიზნით (ბერძნულთან დაახლოება) რედაქტირება გაუწია ბიბლიის სირიულ თარგმანს; ახალი რედაქციის შესავალში მან აღწერა როგორც თარგმანის ტექნიკა, ასევე ტექსტთან დაკავშირებული მორალურ-ეთიკური საკითხები. გ. ცუნტცმა საგანგებოდ შეისწავლა ორივე შესავალი და დამაჯერებლად აჩვენა მათი ალექსანდრიული (დიონისე თრაკიელი, არისტარქე) გენეალოგია,<sup>24</sup> კერძოდ ის, რომ ეს კოლოფონები აგებულია ანტიკურობის მდიდარი ფილოლოგიურ-ტექსტოლოგიური ტრადიციის მიხედვით.

თომა პარკელისა და პაეღე ედესელის კოლოფონებზე დაყრდნობით გ. ცუნტცი ასე აღწერს წიგნის მომზადება-გამოცემის სირიულ ტექნიკას: გამომცემელი იღებს სარევიზიოდ არჩეულ ტექსტს, ერთ ან რამდენიმე ხელნაწერს, რომლებიც, მისი აზრით, ზუსტია და სანდო. იგი ჯერ აღარებს ამ ხელნაწერებს ერთმანეთს და შემდეგ უდარებს მათ სანდო ბერძნულ ორიგინალს; აღწუსხავს განსხვავებულ იკითხვისებს კოლაციონირების

<sup>22</sup> ბერძნულ-ლათინური, სირიული და სომხური შესავლების შესახებ იხ. Hunger 1966; Riad 1988; Sanjian 1969: 7-41; Zuntz 1945; Zuntz 1951: 174-196.

<sup>23</sup> სირიული მთარგმნელობითი ტრადიციის შესახებ იხ. Brock 1969:96-102; Brock 1979a: 69-87; Brock 1979b: 120-130; Brock 1983: 1-14.

<sup>24</sup> Zuntz 1951: 174-196.

საგანგებო წესებით; სარევიზიო ეგზემპლარში აღნიშნავს სპეციალური ნიშნებით რა აკლია, ან რა არის ზედმეტი ამა თუ იმ ნუსხაში, აშიაზე მიუთითებს სხვაობებს, ვარიანტებს. ეს არის I ეტაპი.

შემდეგ ეტაპზე იგი გადაიწერს სარევიზიო ტექსტის გასუფთავებულ პირს და შეაქვს მისი განსჯით სანდო იკითხვისები სხვა ხელნაწერებიდან. თავდაპირველი სარევიზიო ტექსტის იკითხვისები ან ქრება ტექსტიდან, ან გამოდის აშეებზე. იმ სიტყვებს, რომელთაც ცვლილება განიცადეს, სპეციალური მარკერით თავზე აღუნიშნავენ. ამგვარად დამზადებული პირი, კასიოდორეს გამოთქმა რომ ვიხმართ, არის „codex archetypus ad cuius exemplaria sunt ceteri corrigendi“.<sup>25</sup> სწორედ აქედან გადაიწერებოდა ახალი ვერსია და გადაწერის შემდეგ შეუდარებოდა ავტოგრაფს.<sup>26</sup>

ეფრემ მცირე არაერთ კოლოფონში აღწერს თავის ტექსტოლოგიურ საქმიანობას, რომელიც ძალიან ახლოსაა გ. ცუნტცის მიერ სირიული კოლოფონების მიხედვით აღწერილ საკმაოდ რთულ პროცედურასთან:

„ესე საცნაურ იყავნ ყოველთა, რომელნი მიემთხვნეთ წმიდასა ამას წიგნსა, ვითარმედ, ვითარცა-იგი დავითისა თარგმანებათა შინა, ეგრეთვე ყოველსა ამას სამოციქულოსა წიგნსა შინა ძალისაებრი მოწაფობაჲ დამიცავს დიდისა მოძღურისა და ყოველთა ეკლესიათა ჩუენთა მნათობისა გიორგი მთაწმიდელისა საუკუნოდ მოქსენებულისაჲ მე, უნდოსა მტუერსა წმიდათა ფერკთა მისთაჲსა, ეფრემს მცირესა. რამეთუ მათვე თარგმნილი საქმე მოციქულთაჲ, კათოლიკენი და ებისტოლენი წინა მესხნიან და სამოციქულო სიტყუაჲ მიერ დამიწერია, რათა არა მეორედ თარგმნილად შეირაცხოს წიგნი სამოციქულოჲ. [...]

ბერძენთა ენაჲ უფსკრულ ღრმა არს და იგივე და ერთი ადგილს მრავალსა პირსა აღიარებს, და უპირატესად ყოველსა მას ადგილსა ზედამიწევნით გამოიკულევს წმიდაჲ იოანე ოქროპირი და განცხადებულად უეჭუელ-ჰყოფს ვითარებასა მისსა, ამათ ესევითართა ღრმათა ადგილთა, სადაცა უკმადა შეცვალეუბაჲ და სხუებრ ცვალეუბაჲ სიტყუასა სამოციქულოსა ქართულსა, რომელი მაშინდა ძლით გულისკმა-იყოფებოდის, ოდეს სამნი, გინა ოთხნი თარგმანნი პავლისანი და ეგეოდენნივე ლექსიკონნი, რომელ არიან ღრმათა წიგნურთა სიტყუათა ანბანსა ზედა განწობილნი სიტყუანი, ერთად შემოგერბინი, მაშინდა ძლით მოუპოდ ქართული შემსგავსებული სიტყუაჲ.

<sup>25</sup> Cassiodorus / Mynors 1937: 163.

<sup>26</sup> Zuntz 1951: 181.

და ესევეთარნი სიტყუანი სადაცა შემიცვალეზიან, კიდესა სტიქონისასა იოტამ და მიხუსამს და შინა სიტყუასა წინათ ესე, ვითარმედ: *უსაკუთრესი არს, აწ უკუე სადაცა კიდესა სტიქონისასა ანუ სიტყუასა ზედა იოტამ ჰპოო და სიტყუასა თანა უსაკუთრესი, ცან, ვითარმედ მცირედ ცვალეზამ პნებებია მას სიტყუასა, რომელი-იგი წმიდასა მამასა ჩუენსა გიორგის არა ეგოდენ სხვსა რამსამე მიზეზისაგან, რაოდენ ძუელისავე პავლისა წაყოლისაგან დაუტეობია [...]* ვითარმედ რომელი მრავალსა პირსა აღიარებდა, იგი ძუელისავე თარგმნილისადა მიუყვანებია. და მეცა აგრეთვე, სამოციქულო სიტყუად ვითა მათ ეთარგმნა, ეგრეთ დამიწერია პირველ, რამთა მოწაფობამ მისი სრულ ვყო. ხოლო სადა თარგმანი სიტყვსად მაიძულებდა იშუთ ცვალეზასა სიტყვსასა, იგი თარგმანსა შინა იოტამთა და უსაკუთრესითა აღმინიშნავს ყოველსა ადგილსა და ამით სახითა ძალისაებრ განკრძალულ ვარ, რამთა არ სიტყვსა სხუშობრობამან შეცვალეზა-მცეს თარგმანისცა და დაგუაჭირვოს მართლ განმარტებული სიტყუად წმიდათა მათთა.<sup>27</sup>

გ. ცუნტცი ამ საკმაოდ რთულ პროცედურასთან დაკავშირებით სვამს კითხვას: არ შეიძლება, შედარების ამ რთული პროცესის მაგიერ სკრიპტორიუმში მიეცათ პირდაპირ სუფთა, ანუ ბერძნულის მიხედვით „გასუფთავებული“, სანდო ხელნაწერი? გ. ცუნტცი ასე პასუხობს თავისთავად კითხვას: „ეს იყო ძალიან ხანძკიანი ტრადიცია. პიერონიმეც ასე იქცეოდა, მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში თარგმნიდა ხელახლა. უმეტესწილად კი ადაპტირებას მიმართავდა – ძველ ლათინურ ტექსტს აახლოვებდა Graeca veritas-სთან. ეს მეთოდი ადაპტირებისა თვითონ ბერძნულშიც ცნობილია და ხელნაწერების მინაწერებსა და კოლოფონებში არაერთხელაა დადასტურებული. შდრ. *ἀναβλέψθη πρὸς...* ეს არის ცნობილი ალექსანდრიული მეთოდი. ძენოდოტე, არისტარქე და სხვები პომპროსის იმ ხელნაწერებს, რომლებიც მათ განსაკუთრებით სანდო ეჩვენებოდათ, კი არ „უშვებდნენ“ მიმოქცევაში, არამედ სხვა დანარჩენებს უდარებდნენ ამ სანდოებს.“<sup>28</sup>

კარლ ლახმანამდელი ეს მეთოდი, როგორც ზემოთ ვთქვი, მართლაც ძალიან ძლიერი იყო ტრადიციის ძალით, ამიტომაც გასაგებია, დაასკვნის ცუნტცი, რატომ გაგრძელდა ასე დიდხანს დისკუსია „textus receptus“-ის შესახებ ბიბლიოლოგიაში.<sup>29</sup>

<sup>27</sup> ხელნ. Jerus. 16 2r-3v, იხ. თვალთვაქე 2009: 205.

<sup>28</sup> Zuntz 1951: 184.

<sup>29</sup> იქვე.

ისევე, როგორც ქართულში, ბერძნულ-ლათინურ და სირიულ ტრადიციაშიც ამგვარი პრეციზულობით შესრულებული კოლოფონების მქონე ხელნაწერები თითოეუ ჩამოსათვლელია. ამასთან დაკავშირებით ცუნტციმა საგანგებოდ შეისწავლა ეს ხელნაწერები მათი ფუნციური დანიშნულების „კვადის“ მიხედვით და დაასკვნა, რომ „ამგვარი აპარატით შესრულებული ხელნაწერები მხოლოდ სწავლულთა ვიწრო წრის დაკვეთა იყო, შესაბამისად, მხოლოდ ამ ვიწრო წრეს სჭირდებოდა, მასიური მოხმარებისთვის კი ხელნაწერები, რა თქმა უნდა, აპარატის გარეშე მზადდებოდა.“<sup>30</sup>

მკვლევრის ამ დასკვნაშიც იოლად ამოიცნობა ეფრემის სიტყვები მკითხველთა, შესაბამისად, ტექსტების ორი ტიპის შესახებ: „ამას თანა ამასცა მეცნიერ იყავ, ვითარმედ ესრეთ აქუს ჩუეულებამ წიგნებსა ბერძენთასა, რამთა ანბანსა ზედა განაწყოდნენ ყოველთავე სიტყუათა გამოსაძიებელთა და ღრმათა, რამთა ადგულ იყვნენ საპოვნელად. და მას წიგნსა ლექსიკონ უწოდენ, რომელ არს ლექსთად, ესე-იგი არს, ღრმათა სიტყუათად. და თითოეულსა წიგნსა – გარეშესა გინა საეკლესიოთაგანსა – ყოველივე ღრმად და გამოსაძიებელი სიტყუად ანბანსა ზედა განწყობილი და შეკრებული, თავად და შესავალად წიგნისა უწერია, უკუეთუ ოდენ გამომეძიებულ და გულისკმის-მყოფელ ყოფილ იყოს მომგებელი წიგნისად, რომელსა კუალთა შედგომითა კინი ესე სახე ჩუენცა გიწუნეთ თქუნ“ [...] ერთი იგი შემოკლებულად და ლიტონად მარტივთათუს და ლიტონთა, და მეორე იგი უგრცელესად და უღრმესად გამომეძიებულთათუს და გულისკმისმყოფელთა.“<sup>31</sup>

ეფრემ მცირის შესავალთან დაკავშირებული საკითხების გაანალიზება ანტიკური და შუა საუკუნეების ფილოლოგიური და ეგზეგეტიკური მეთოდების კონტექსტში, ზოგადად, ძველი ქართული ფილოლოგიის სისტემური ნიშნების, მთარგმნელთა თეორიული ნააზრვის კვლევა აჩვენებს, რომ ეს ტრადიცია გვიანანტიკურობისა და შუა საუკუნეების ფილოლოგიურ-ტექსტოლოგიური დისციპლინის განუყოფელი ნაწილია და ამ დისციპლინას არაერთი მნიშვნელოვანი სიახლით ამდიდრებს.

<sup>30</sup> Zuntz 1951: 184.

<sup>31</sup> Q 37, 4v (შანიძე 1968: 116).

**ლიტერატურა**

ბეზარაშვილი 2004 - ქეთევან ბეზარაშვილი, რიტორიკისა და თარგმანის თეორია და პრაქტიკა გრიგოლ დვთისმეტყველის თხზულებათა ქართული თარგმანების მიხედვით, თბილისი

დობორჯგინიძე 1996 - ნინო დობორჯგინიძე, ფსალმუნთა განმარტება. სიტყუანი ფსალმუნთანი, შემოკლებით თარგმანთაგან გამოკრებილნი მრავალთა წიგნთაგან. უძველესი ხელნაწერების მიხედვით გამოსცა ნინო დობორჯგინიძემ, ტ. 1, 2, თბილისი

დობორჯგინიძე 1998 - ნინო დობორჯგინიძე, ფსალმუნთა გამოკრებული თარგმანება და ძველი ქართული ლინგვისტური აზროვნების ისტორიის საკითხები, საღისურტაციო ნაშრომი, თბილისი

დობორჯგინიძე 2000 - ნინო დობორჯგინიძე, ტერმინ გრამატიკოსის გაგებისათვის ძველ ქართულ მწერლობაში, იხ. თსუ აღზალგაზრდა მეცნიერთა შრომები, 4, რედ. ლ. გუგუშაძე, გვ. 8-17, თბილისი

დობორჯგინიძე 2009ბ - ნინო დობორჯგინიძე, ძველი ქართული ფილოლოგიის ისტორიიდან (ანტიოქის სამეფოს როლი XI-XIII საუკუნეების პოლიტიკურ და კულტურულ-საგანმანათლებლო პროცესებში), იხ. ჟურნალი ენათმეცნიერების საკითხები, 2009 (I-II), მთ. რედაქტორი თ. გამყრელიძე, გვ. 185-194, თბილისი

დობორჯგინიძე 2010 - ძველ ქართველ მთარგმნელთა თეორიის ტექნიკური და მეტაფორული დისკურსი, კრებულში: წახნაგი 2 (2010), რედ. მ. ლაღანიძე, გვ. 194-209, თბილისი

თვალთვაძე 1997 - დარეჯან თვალთვაძე, ეურემ მცირე - ბიზანტიური მწერლობის კომენტატორი, საღისურტაციო ნაშრომი, თბილისი

თვალთვაძე 2009 - დარეჯან თვალთვაძე, ეურემ მცირის კოლოფონები, თბილისი

კეჭაღმაძე, რაფაეა 1983: ნათელა კეჭაღმაძე, მაია რაფაეა, ამონიოს ერმისის თხზულებები ძველ ქართულ მწერლობაში, თბილისი

დ. მელიქიშვილი 1984: მელიქიშვილი, დამანა, ძველი ქართული ლოგიკური ტერმინოლოგიიდან, ჟურნალი ძველი ქართული ენის კათედრის შრომები 25: 106-120, თბილისი

დ. მელიქიშვილი 1988: მელიქიშვილი, დამანა, გელათის სალიტერატურო სკოლა და ქართული ფილოსოფიური ენის განვითარების გზები, საღისურტაციო ნაშრომი

დ. მელიქიშვილი 1999: მელიქიშვილი, დამანა, ძველი ქართული ფილოსოფიურ-თეოლოგიური ტერმინოლოგიის ისტორიიდან, თბილისი

დ. მელიქიშვილი 2009: დამანა მელიქიშვილი, ფილოლოგიური ძიებანი (სტატიების კრებული), თბილისი

ნ. მელიქიშვილი 1987 - ნინო მელიქიშვილი, რამდენიმე დაკვირვება ეურემ მცირისა და ექვთიმე ათონელის მთარგმნელობით მეთოდზე, ჟურნალი მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია 1987, 4: 119-129, თბილისი

ნ. მელიქიშვილი 1999 - ნინო მელიქიშვილი, გრიგოლ ნაზიანზელის 16 პომილეტიკური სიტყვის ეურემ მცირისეული თარგმანი" ჟურნალი მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1999, 1-4: 149-164, თბილისი

ოთხმეზური 1992 - თამარ ოთხმეზური, ერთი ლინგვისტური შენიშვნის შესახებ ძველ ქართულ მწერლობაში" ჟურნალი მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1992, 4: 105-117, თბილისი

ოთხმეზური 2004 - თამარ ოთხმეზური, გრიგოლ ნაზიანზელის ეფრემისეული კრებულების მარგინალიები, კრებული კორნელი კეკელიძე 125, გვ. 132-144, თბილისი

ოთხმეზური 2005 - თამარ ოთხმეზური, გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა კომენტარები ქართულ მთარგმნელობით ტრადიციაში, საღისურტაციო ნაშრომი, თბილისი

შანიძე 1968 - შუქაძეა შანიძე, ფსალმუნთა თარგმანების შესავალი: უწყება მიზესა და ვითარებასა, და თხრობაა წესსა და საკმარებასა წინამდებარისა ამის წიგნისასა, რომელ არს თარგმანება ფსალმუნთა, იხ. ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 11 (1968), რედ. ა. შანიძე, გვ. 77-122, თბილისი

ჩიკვატია 1997 - ნანა ჩიკვატია, ექვთიმე მთაწმიდლის "წინამძღვარი". საღისურტაციო ნაშრომის ავტორეფერატი, თბილისი

ხარანაული 2005 - ხარანაული, ანა, ძველი აღთქმის ხანმეტი ფრაგმენტები და ქართული ბიბლიის ტექსტის ისტორიის საკითხები. საღიქტორო დისერტაციის ავტორეფერატი, თბილისი

ხოფერია 1999 - ლელა ხოფერია, მაქსიმე აღმსარებლის „პიროსთან სიტყვებების“ ძველი ქართული თარგმანები, საღისურტაციო ნაშრომი, თბილისი

ხოფერია 2001 - ლელა ხოფერია, თავისუფალ და ზუსტ თარგმანთა ზოგიერთი თავისებურებათა ერთი ტექსტის ორი ქართული თარგმანის მიხედვით, ჟურნალი მრავალთაეი XIX, გვ. 418-431, თბილისი

Astell 1999: Astell, Ann W. Cassiodorus's "Commentary on the Psalms" as an "Ars Rhetorica". *Rhetorica: A Journal of the History of Rhetoric* XVII (Winter, 1999): 37-73

Brock 1969: Brock, Sebastian, "The phenomenon of biblical translation in Antiquity", *ALTA. The University of Birmingham Review* 2,8: 96-102

Brock, Sebastian 1979a: "Aspects of Translation Technique in Antiquity", *Greek, Roman and Byzantine Studies* 20: 69-87

Brock 1979b: Brock, Sebastian, "The Syriac Euthalian material and the Philoxenian version of the NT", *ZAW* 70: 120-130

Brock, Sebastian 1983: "Towards a history of Syriac translation technique", *Orientalia Christiana Analecta* 221:1-14

Bultmann 1984: Bultmann, Rudolf, *Die Exegese des Theodor von Mopsuestia*, Stuttgart: Kohlhammer

Bultmann 2002: Bultmann, Rudolf, *Theologie als Kritik: Ausgewählte Rezensionen und Forschungsberichte*, hrsg. v. Mathias Dreher, Tübingen: Mohr Siebeck

Cassiodorus / Mynors 1937: Mynors, Roger Aubrey Baskerville, *Cassiodori senatoris Institutiones*, Oxford: Clarendon Press

Doborjginidze 1999: Doborjginidze, Nino, "Grammatisch-sprachwissenschaftliche Kommentare aus den altgeorgischen Psalmenkatenen", იხ. ჟურნალი *Georgica, Zeitschrift für Kultur, Sprache und Geschichte Georgiens und Kaukasiens*, Zeitschrift für Kultur, Sprache und Geschichte Georgiens und Kaukasiens, 22, S. 91-99, Jena // Konstanz // Aachen

Doborjginidze 2000 - Nino Doborjginidze, Die identitätsbildende Funktion der Sprache und Übersetzungsprobleme bei den altgeorgischen Exegeten", in: U.-Chr. Sander -F. Paul (edd.), *Muster und Funktionen kultureller Selbst- und Fremdwahrnehmung. Beiträge zur internationalen Geschichte der sprachlichen und literarischen Emanzipation*. Göttingen, S. 169-184

Doborjginidze 2003: Doborjginidze, Nino, "Die Argumente gegen die Bibelübersetzung in die Volkssprache und ihre Nachwirkung auf die Entwicklung des Georgischen in den 10.-12. Jh.", in: Winfried Boeder (ed.): *Kaukasische Sprachprobleme. Beiträge zu den Kaukasistentagungen in Oldenburg 1995-2001* (= Caucasicca Oldenburgensia 1). Oldenburg: Bibliotheks- und Informationssystem der Universität Oldenburg, pp. 119-140

Doborjginidze 2009a, Doborjginidze, Nino, *Die georgische Sprache im Mittelalter* (=Sprachen und Kulturen des christlichen Orients, Bd. 17), hrsg. v. Johannes den Heijer, Stephen Emmel, Martin Krause, Andrea Schmidt, Wiesbaden: Reichert Verlag

Dörrie 1974 - Dörrie, Eduard, Zur Methodik antiker Exegese, ჟურნალი *Zeitschrift für die neutestamentliche Wissenschaft und die Kunde der älteren Kirche* 65, S. 121-138, Berlin: de Gruyter

Englisch 1994: Brigitte Englisch: Die Artes liberales im frühen Mittelalter (5.-9. Jh.). Das Quadrivium und der Komputus als Indikatoren für Kontinuität und Erneuerung der exakten Wissenschaften zwischen Antike und Mittelalter, *Sudhoffs Archiv, Beihefte* 33, Stuttgart 1994

Göglér 1963: Goegler, Rolf, *Zur Theologie des biblischen Wortes bei Origenes*, Duesseldorf: Patmos-Verlag;

Hieronymus / Hilberg 1996: Hieronymus / Hilberg, Isidorus, *Hieronimus, Epistulae*, ed. I. Hilberg (=Corpus Scriptorum Ecclesiasticorum Latinorum 54, Wien



- Hunger 1966 Hunger, H. 1966: *Prooimion: Elemente der byzantinischen Kaisaridee in der Arengen der Urkunden* (= Wiener byzantinische Studien 2). Wien
- Jori 2005: Alberto Jori, Die Paradoxien des menschlichen Selbstbewusstseins und die notwendige Existenz Gottes - Zu 'Cogitatio' und 'Intellectus' im Streit zwischen Anselm und Gaunilo, in: C. Viola and J. Kormos (ed.), *Rationality from Saint Augustine to Saint Anselm. Proceedings of the International Anselm Conference - Piliscsaba (Hungary) 20-23 June 2002 (Piliscsaba 2005)*, S. 197-210
- Jones 1945: Jones Leslie, W. The Influence of Cassiodorus on Medieval Culture. *Speculum: a Journal of Medieval Studies* XX (October, 1945): 433-442
- Kharanauli 2002 – Kharanauli, Ana, Ein Chanmeti-Fragment der georgischen Übersetzung von Esdra I (Fragen der Authentizität, Vorlage und Übersetzungstechnik), *ქურნაღლი Le Muséon, Revue d' Études Orientales* 116,1-2: 181-216, Louvain-La-Neuve
- Kolbert 2006: Kolbet, P. R., Athanasius, the Psalms, and the Reformation of the Self, *Harvard Theological Review* 99[01] (2006) 85-101
- Lagarde 1967/1868: Lagarde, Paul, de, *Hieronymi quaestiones hebraicae in libro Geneseos / e recognitione Pauli de Lagarde*, Lipsiae: Teubner
- Lubac 1998: Lubac 1998: Lubac, Henri, de, *The four senses of Scripture* (=Medieval exegesis, Vol. 1), Grand Rapids, Mich.: Eerdmans [u.a.]
- Lubac 2000: Lubac 2000: Lubac, Henri, de, *The four senses of Scripture* (=Medieval exegesis, Vol. 2), Grand Rapids, Mich.: Eerdmans [u.a.]
- Neuschäfer 1987 (1, 2) – Neuschäfer, Bernhard, *Origenes als Philologe*, (=Schweizerische Beiträge zur Altertumswissenschaft ; 18,1, 2), Bd. 1, 2, Basel : Reinhardt
- Riad 1988: Riad, Eva 1988: *Studies in the Syriac Preface* (Acta Universitatis Upsaliensis. Studia Semitica Upsaliensia 11). Uppsala
- Sanjian 1969: Sanjian A. K. 1969: "Colophons of Armenian Manuckripts", *Harvard Armenian Texts and Studies* 2: 7-41
- Schäublin [u.a.] 1974: Schäublin, Christoph, *Untersuchungen zu Methode und Herkunft der antiochenischen Exegese*, Köln: Hanstein
- Schäublin 1992: Zur paganen Prägung der christlichen Exegese, *კრებულში: Christliche Exegese zwischen Nicaea und Chalcedon*, hrsg. von J. van Oort u.U. Wickert, S. 132-173, Kampen: Kok Pharos Publ. House
- Schäublin 2005: Schäublin, Christoph, *Aus paganer und christlicher Antike : ausgewählte Aufsätze zur klassischen Philologie (1970 - 1997)*, Basel: Schwabe
- Schlieben [u.a.] 1974: Schlieben, Reinhard, *Christliche Theologie und Philologie in der Spätantike: Die schulwissenschaftlichen Methoden der Psalmenexegese Cassiodors*, Berlin: de Gruyter
- Schlieben 1979: Schlieben, Reinhard, *Cassiodors Psalmenexegese: eine Analyse ihrer Methoden als Beitrag zur Untersuchung der Geschichte der Bibelauslegung der Kirchenväter und der Verbindung christlicher Theologie mit antiker Schulwissenschaft*, Göppingen: Kümmerle
- Stead 1992: Stead, Christopher, Athanasios als Exeget, *კრებულში: Christliche Exegese zwischen Nicaea und Chalcedon*, hrsg. von J. van Oort u.U. Wickert, S. 174-189, <http://opac.sub.uni-goettingen.de/DB=1/SET=1/TTL=1/MAT=/NOMAT=T/CLK?IKT=1008&TRM=%3C&cvtour!%3EKampen>: Kok Pharos Publ. House
- Waldrop 1927: Waldrop, George Byron, "Donatus, the Interpreter of Vergil and Terence, in: *Harvard Studies in Classical Philology*, Vol. 38, (1927) pp. 75-142
- Zuntz, Günter 1951: "Die Subscriptionen der Syra Harclensis", *ZDMG* 101: 174-196
- Zuntz, Günter 1945: *The Ancestry of the Harclean New Testament*. London